

ურთიერთანამშრომლობის

მემორანდუმი

2014 წლის 18 ივლისი

ერთი მხრივ, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ თეონა ხუფენიას სახით, და მეორე მხრივ, სსიპ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ ერმილე მესხიას სახით, შემდეგში წოდებულნი „მხარეებად“, ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების მიზნით და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით გამოვთქვამთ მზადყოფნას ურთიერთანამშრომლობაზე და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ურთიერთანამშრომლობის მიზანი

1. მხარეთა შორის ურთიერთანამშრომლობა ეფუძნება ურთიერთპატივისცემის, თანასწორობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებს. მხარეები იღებენ ვალდებულებას, შექმნან სათანადო პირობები ამ მემორანდუმის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. მხარეები, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ფარგლებში სტუდენტების მომზადების ხელშეწყობის მიზნით, თანხმდებიან შემდეგი სახის თანამშრომლობაზე:
 - აკადემიური, ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალის გამოცდილების ურთიერთგაზიარება;
 - ერთობლივი საგანმანათლებლო, სამეცნიერო და შემოქმედებითი პროექტების (კონფერენციები, სემინარები, სანახაობრივი წარმოდგენები, გამოფენები, კონკერტები, საჯარო ლექციები, საზაფხულო სკოლები და სხვა) ორგანიზება და მათში მონაწილეობის მიღება;

- სასწავლო სამეცნიერო ლიტერატურის, ბეჭდური გამოცემებისა და ელექტრონული ფორმის მასალების გაცვლა;
 - საბიბლიოთეკო ფონდებით სარგებლობის უფლება.
2. მოქმედი სტანდარტების შესაბამისად უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ხელი შეუწყონ განათლების, ჰუმანიტარული, სოციალური და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით სასწავლო გეგმების შემუშავებაში ჩართულობას, გამოცდილების ურთიერთგაზიარებასა და გაცვლას.
 3. მხარეები იზრუნებენ საგრანტო პროგრამების მოძიებასა და საგრანტო კონკურსებში ერთობლივ მონაწილეობაზე.
 4. მხარეები ითანამშრომლებენ აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 3. მემორანდუმით გათვალისწინებული დონისძიებების განხორციელებაზე უფლებამოსილი ორგანოები

1. წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული დონისძიებების ორგანიზებას უზრუნველყოფენ აღნიშნული დაწესებულებების შესაბამისი უფლებამოსილი პირები.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე მემორანდუმში ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.
2. წინამდებარე მემორანდუმში ძალაშია მხარეთა ხელმოწერისთანავე და მოქმედებს იმ ვადით, სანამ ერთ-ერთი მხარე წერილობით არ მოითხოვს მის შეწყვეტას.
3. მემორანდუმი შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომლის თითოეული ვარიანტი ინახება მხარეებთან.

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი თეონა ხუფენია



თ. ხუფენია

ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. № 14
 (+995 415) 25 62 17
 zssuedu@gmail.com
 www.zssu.ge

სსიპ - ბათუმის ბელოვნიძის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ერმილე მესხია



ბათუმი, ლუკა მათიასის ქ. № 37
 +995(422) 279 895; +995(422) 279 353
 info@batu.edu.ge
 www.batu.edu.ge